

(19) საქართველოს  
ინტელექტუალური  
საკუთრების  
ეროვნული ცენტრი  
საქპატენტი




(11) GE U 2020 2038 Y  
(10) AU 2020 15092 U  
(51) Int. Cl. (2006)  
B 63 B 35/79

(12) სასარბეგლო მოღებზე კატენის აღწერილობა

(21) AU 2019 15092 (22) 2019 05 22 (24) 2019 05 22  
(44) 2020 02 10 №3 (45) 2020 06 10 №11

(73) ) გივი კველიშვილი (GE)  
ზღვის უბანი, IV კვარტ.,  
კორპ. 6, ბ. 5, 0197, თბილისი,  
საქართველო (GE)  
(72) გივი კველიშვილი (GE)  
(56) 1. RU 2626212 C1, 24.07.2017;  
2. WO 0024631 A1, 04.05.2000;  
3. CN 106005299 A, 12.10.2016;  
4. US 4474502 A, 02.10.1984;  
5. US 9051038 B1, 09.06.2015

(54) *სერფინგის დაფა*  
(57) სერფინგის დაფა შეიცავს სიგრძეზე დასაკეც კორპუსს, ამასთან, კორპუსი შედგება თანაბარი სიგრძის ცხვირისა 1 და კიჩოს 2 სექციებისაგან, რომლებიც სახსრულად შეერთებულია ერთმანეთის მიმართ ფიქსაციის შესაძლებლობით კორპუსის გაშლილ მდგომარეობაში. სერფინგის დაფა აღჭურვილია პედლებიანი ფეხის ამძრავი მექანიზმით, რომელიც შესრულებულია ცხვირის სექციაში განთავსებული, ერთმანეთთან მოდებაში მყოფი კონუსური კბილანებისა 6 და 7 და კიჩოს სექციის ბოლოში დაყენებული პროპელერის 8 სახით. კიჩოს სექციაში შესრულებულია ჩაღრმავება 12, რომელიც წარმოადგენს მომხმარებლის ჩასაჯდომ ადგილს და გააჩნია დახრის კუთხის რეგულირებით დაყენებული საზურგე 13. კიჩოს სექციაში,



GE U 2020 2038 Y

აგრეთვე, შესრულებულია დასაკეცი ქოლგისა 14 და გამაგრებელი სასმელის ჩასადგმელი ბუდეები, შესაბამისად 15 და 16, ხოლო ცხვირის სექციაში დაყენებულია სახელური 17 ხმელეთზე დაფის ტრანსპორტირების მოხერხებულობისათვის. გარდა ამისა, სერფინგის დაფას გვერდებზე გააჩნია სხვა სერფინგის დაფასთან გადაბმის საშუალებები 18 ტანდემში ცურვის განსახორციელებლად.

მუხლები: 1 დამოუკიდებელი

ფიგურა: 8

## სასარგებლო მოდელის აღწერილობა

სასარგებლო მოდელი განეკუთვნება სპორტულ-გასართობ ინვენტარს, კერძოდ, სერფინგის დაფებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს წყალსატევებში წყლის ზედაპირზე სამოძრაოდ, როგორც სპორტული შეჯიბრებისთვის, ისე კომფორტული დასვენებისთვის.

ცნობილია სერფინგის დაფა, რომელიც შეიცავს სიგრძეზე დასაკეც კორპუსს, ამასთან, კორპუსი შედგება ცხვირისა და კიჩოს სექციებისაგან, რომლებიც სახსრულად შეერთებულია ერთმანეთის მიმართ ფიქსაციის შესაძლებლობით კორპუსის გაშლილ მდგომარეობაში, ამასთან, ცხვირის სექციის სიგრძე შეადგენს კორპუსის სიგრძის 1/3-ს. კიჩოს სექციაზე, კორპუსის გასწვრივ, გვერდებზე დაყენებულია ორი ტივტივა, რომლებიც შესრულებულია ღრუ ნაკვეთურის სახით, ამასთან, თითოეულ ტივტივაზე, ძირის მხრიდან დაყენებულია კილი-სტაბილიზატორი. ტივტივებს შორის, კიჩოს სექციაზე დაყენებულია მომხმარებლის ნივთების შესანახი ტევადობა ჰერმეტიკული სახურავითა და კორპუსის გვერდით განლაგებული ორი სახელურით, რომელიც შესრულებულია სკამად გამოყენების შესაძლებლობით. სერფინგის დაფის ცხვირის სექციაში დაყენებულია სახელური ხმელეთზე დაფის ტრანსპორტირების მოხერხებულობისათვის /RU 2626212 C1, 24.07.2017/.

ცნობილი სერფინგის დაფის ნაკლია ის, რომ მოძრაობა ხდება წყლის ზედაპირზე მომხმარებლის მიერ მხოლოდ ნიჩბის გამოყენების საშუალებით, ნიჩბის მოსმა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს მოუხერხებელია და იწვევს მომხმარებლის მიერ დიდი ფიზიკური ენერჯის ხარჯვას და მის სწრაფ დაღლას, ამასთან, სერფინგის დაფა შესაბამისად ვერ აწვითარებს მაღალ სიჩქარეს წყლის ზედაპირზე. გარდა ამისა, მის კონსტრუქციაში არ არის გათვალისწინებული მომხმარებლის ჩასაჯდომი ადგილი, რაც არ იძლევა წყალსატევში ოდნავი ღელვის შემთხვევაშიც კი მომხმარებლის და დაფის მდგრადობის და უსაფრთხოების საშუალებას. დაკეცილ მდგომარეობაში სერფინგის დაფის გრძივი გაბარიტი დიდია (მთლიანი სიგრძის 2/3), რაც უხერხულობას იწვევს როგორც ტრანსპორტირების, ასევე შენახვის დროს.

სასარგებლო მოდელის ტექნიკური შედეგია სერფინგის დაფის უსაფრთხოებისა და მოხერხებულობის ერთდროული ამალევა, როგორც წყლის ზედაპირზე სასრიალოდ, ასევე ტრანსპორტირების და შენახვის დროს.

სასარგებლო მოდელის არსია ის, რომ სერფინგის დაფა შეიცავს სიგრძეზე დასაკეც კორპუსს, ამასთან, კორპუსი შედგება თანაბარი სიგრძის ცხვირისა და კიჩოს სექციებისაგან, რომლებიც სახსრულად შეერთებულია ერთმანეთის მიმართ ფიქსაციის შესაძლებლობით კორპუსის გაშლილ მდგომარეობაში. სერფინგის დაფა აღჭურვილია პედლებიანი ფეხის ამძრავი მექანიზმით, რომელიც შესრულებულია ცხვირის სექციაში განთავსებული, ერთმანეთთან მოდებაში მყოფი კონუსური კბილანებისა და კიჩოს სექციის ბოლოში დაყენებული პროპელერის სახით. კიჩოს სექციაში შესრულებულია ჩაღრმავება, რომელიც წარმოადგენს მომხმარებლის ჩასაჯდომ ადგილს და გააჩნია დახრის კუთხის რეგულირებით დაყენებული საზურგე, აღნიშნულ სექციაში, აგრეთვე, შესრულებულია დასაკეცი ქოლგისა და გამაგრებელი სასმელის ჩასადგმელი ბუდეები, ხოლო ცხვირის სექციაში დაყენებულია სახელური ხმელეთზე დაფის ტრანსპორტირების მოხერხებულობისათვის. გარდა ამისა, სერფინგის დაფას გვერდებზე გააჩნია სხვა სერფინგის დაფასთან გადაბმის საშუალებები ტანდემში ცურვის განსახორციელებლად.

სასარგებლო მოდელის არსში მოყვანილი სერფინგის დაფის ნიშნები არსებითია და უზრუნველყოფს ტექნიკური შედეგის მიღწევას.

სასარგებლო მოდელის აღწერილობა განმარტებულია ნახაზებით, სადაც ფიგ.1-ზე გამოსახულია სერფინგის დაფა, ზედხედი; ფიგ.2-ზე - იგივე, ხედი ქვემოდან; ფიგ.3-ზე - იგივე, გვერდხედი; ფიგ.4-ზე - იგივე, ხედი უკნიდან; ფიგ.5-ზე - იგივე, დაკეცილ მდგომარეობაში, გვერდხედი; ფიგ.6-ზე - სერფინგის დაფის პედლებიანი ფეხის ამძრავი მექანიზმი; ფიგ.7-ზე - გრძივი ჭრილი ა-ა ფიგ.1-ზე; ფიგ.8-ზე - სერფინგის დაფა, საერთო ხედი აქსონომეტრიაში.

სერფინგის დაფა (იხ.ფიგ.1-8) შეიცავს სიგრძეზე დასაკეც კორპუსს, რომელიც შედგება თანაბარი სიგრძის ცხვირისა 1 და კიჩოს 2 სექციებისაგან. სერფინგის დაფის კორპუსი მზადდება ნახევრად გალხობილი ცელულოიდის 1 მმ-იანი სისქის ფურცლებით, სექციების შესაბამისი ფორმის დურალუმინის კარკასებზე მოჭიმვით, ვაკუუმის საშუალებით. შეკრული კორპუსის შიგთავსის სიცარიელე ივსება პოლიურეთანის სამშენებლო ქაფით. სერფინგის დაფის კორპუსის ცხვირისა 1 და კიჩოს 2 სექციები ერთმანეთთან დაკავშირებულია სახსრულად დაფის ქვემოთ განთავსებული ორი სახსრის 3 საშუალებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება სერფინგის დაფის სექციების 1 და 2 ძირების ერთმანეთზე მიდებით დაკეცვა, ხოლო კორპუსის გაშლილ მდგომარეობაში სერფინგის დაფა ხისტად ფიქსირდება, მის ზედა მხარეს განთავსებული ფიქსატორით 4. სერფინგის დაფა აღჭურვილია პედლებიანი 5 ფეხის ამძრავი მექანიზმით, რომელიც შესრულებულია ცხვირის სექციაში 1 განთავსებული, ერთმანეთთან მოდებაში მყოფი კონუსური კბილანებისა 6 და 7 და კიჩოს სექციის 2 ბოლოში დაყენებული პროპელერის 8 სახით. პედლების 5 ლილვზე დამაგრებული კონუსური კბილანა 6 არის დიდი დიამეტრის, ხოლო პროპელერის 8 მბრუნებელი კონუსური კბილანა 7 კი არის მცირე დიამეტრის, რაც საჭიროა პროპელერის 8 ბრუნვათა რიცხვის გასაზრდელად, რათა უზრუნველყოს მაღალი სიჩქარის მიღწევა საჭიროების შემთხვევაში (სპორტული შეჯიბრება). სერფინგის დაფის კორპუსის ცხვირის 1 და კიჩოს 2 სექციებში 1 მოთავსებულია მბრუნავი ლილვები 9, რომლებზეც შესაბამისად დასმულია კონუსური კბილანა 7 და პროპელერი 8, ერთმანეთთან დაკავშირებულია კარდანით 10, რომელიც საჭიროა ძალოვანი გადაცემის და სერფინგის დაფის დაკეცვისათვის. პროპელერი 8 აღჭურვილია მექანიკური დაზიანებისაგან დამცავი გარსაცმით 11. კიჩოს სექციაში 2 შესრულებულია ჩაღრმავება 12, რომელიც წარმოადგენს მომხმარებლის ჩასაჯდომ ადგილს და გააჩნია დახრის კუთხის რეგულირებით დაყენებული საზურგე 13. კიჩოს სექციაში 2, აგრეთვე, შესრულებულია დასაკეცი ქოლგისა 14 და გამაგრებელი სასმელის ჩასადგმელი ბუდეები, შესაბამისად 15 და 16. ცხვირის სექციაში 1

დაყენებულია სახელური 17 ხმელეთზე დაფის ტრანსპორტირების მოხერხებულობისათვის. გარდა ამისა, სერფინგის დაფას გვერდებზე გააჩნია სხვა სერფინგის დაფასთან გადაბმის საშუალებები 18 ტანდემში ცურვის განსახორციელებლად, რომლებიც წარმოადგენს სერფინგის დაფის ცალ მხარეს დაყენებულ კავებს, ხოლო მეორე საპირისპირო მხარეს კი დაყენებულია რგოლები.

სერფინგის დაფის გამოყენება წყლის ზედაპირზე ხორციელდება შემდეგნაირად: სერფინგის დაფის მოძრაობა ხორციელდება მომხმარებლის მიერ სერფინგის დაფის კორპუსის ცხვირის 1 სექციაში მოთავსებული პედლების 5 ბრუნვით, რის შედეგადაც პედლების 5 ლილვზე დამაგრებული კონუსური კბილანა 6 ბრუნვით მოძრაობას გადასცემს მასთან მოდებაში მყოფ კონუსურ კბილანას 7, რომელსაც თავის მხრივ ლილვის 9 საშუალებით ბრუნვით მოძრაობაში მოჰყავს კიჩოს სექციის 2 ბოლოში დაყენებული პროპელერი 8. წყლის ზედაპირზე მოძრაობისას მცირედი ლეღვის შემთხვევაში (1-2 ბალი), დაფის მეტი მდგრადობისთვის და მომხმარებლის უსაფრთხოებისთვის, რათა არ მოხდეს მომხმარებლის გადაცურება-გადავარდნა, სერფინგის დაფიდან სიმძიმის ცენტრი გადატანილია დაფის ქვემოთ, რაც მიღწეულია კიჩოს სექციაში 2 შესრულებული ჩაღრმავებით 12, რომელიც წარმოადგენს მომხმარებლის ჩასაჯდომ ადგილს და მეტი კომფორტისათვის გააჩნია დახრის კუთხის რეგულირებით დაყენებული საზურგე 13. ცურვისას სერფინგის დაფის მოხვევა-მობრუნება ხდება მომხმარებლის ხელის გაშლილი მტევნის წყლის ზედაპირის მიმართ ვერტიკალურად წყალში ჩადებით. მომხმარებლის გაშლილი ხელის მტევნის წინააღმდეგობა წყლის ზედაპირთან სერფინგის დაფის მარჯვენა ან მარცხენა მხრიდან იწვევს აღნიშნული დაფის მობრუნებას იმ მიმართულებით, რომელ მხარესაც გაშლილი ხელი იმყოფება წყალში. სერფინგის დაფის უკუ მიმართულებით მოძრაობა ხორციელდება მომხმარებლის მიერ პედლების 5 საპირისპირო მიმართულებით ბრუნვით ზემოაღწერილის ანალოგიურად. სერფინგის დაფის კომფორტულად მოხმარებისათვის, წყლის ზედაპირზე დიდი ხნით ცურვის შემთხვევაში, რათა არ მოხდეს მომხმარებლის მზისგან დამწვრობის მიღება,


სერფინგის დაფას აქვს მზისგან დამცავი დასაკეცი ქოლგა 14, რომელიც იდგმება კიჩოს სექციაში 2 არსებულ ბუდეში 15, ასევე, აღნიშნულ სექციაში გათვალისწინებულია ბუდე 16 გამაგრებელი სასმელებისთვისაც. სერფინგის დაფას გვერდებზე არსებული გადაბმის საშუალებები 18 სურვილის შემთხვევაში სხვა ანალოგიური კონსტრუქციის სერფინგის დაფასთან ტანდემში ცურვის შესაძლებლობას იძლევა. ნაპირზე ატანისას, რომელიც ხორციელდება ცხვირის სექციაში 1 დაყენებული სახელურის 17 გამოყენებით, სერფინგის დაფა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც შეზღონგი, ქოლგით ან ქოლგის გარეშე რუჯის მისაღებად. სერფინგის დაფის დასაკეცად, სახსრების 3 საშუალებით ხდება სერფინგის დაფის ცხვირისა 1 და კიჩოს 2 სექციების ძირების ერთმანეთზე მიდება, რითაც სერფინგის დაფის სიგრძე ნახევრდება და ის თავსდება მხარზე გადასაკიდებელ ჩიხოლში და კომპაქტურ მდგომარეობაში ხდება მისი ტრანსპორტირება და შენახვა.

შემოთავაზებული სასარგებლო მოდელი სერფინგის დაფის უსაფრთხო და კომფორტული მოხმარების შესაძლებლობას იძლევა, როგორც წყლის ზედაპირზე მოძრაობისას, ასევე, ტრანსპორტირებისა და შენახვისას. შემოთავაზებული სერფინგის დაფა არის ნაკლებად დამლელი მომხმარებლისთვის, გამოირჩევა მაღალი მდგრადობით და აქვს მაღალი სიჩქარის მიღწევის შესაძლებლობა მომხმარებლის, როგორც დამჯდარ, ასევე დაწოლილ მდგომარეობაში.


## სასარგებლო მოდელის ფორმულა

სერფინგის დაფა, რომელიც შეიცავს სიგრძეზე დასაკეც კორპუსს, ამასთან, კორპუსი შედგება ცხვირისა და კიჩოს სექციებისაგან, რომლებიც სახსრულად შეერთებულია ერთმანეთის მიმართ ფიქსაციის შესაძლებლობით კორპუსის გაშლილ მდგომარეობაში, გარდა ამისა, ცხვირის სექციაში დაყენებულია სახელური ხმელეთზე დაფის ტრანსპორტირების მოხერხებულობისათვის, განსხვავდება იმით, რომ სერფინგის დაფის კორპუსის ცხვირისა და კიჩოს სექციები თანაბარი სიგრძისაა, ამასთან, სერფინგის დაფა აღჭურვილია პედლებიანი ფეხის ამძრავი მექანიზმით, რომელიც შესრულებულია ცხვირის სექციაში განთავსებული, ერთმანეთთან მოდებაში მყოფი კონუსური კბილანებისა და კიჩოს სექციის ბოლოში დაყენებული პროპელერის სახით, გარდა ამისა, კიჩოს სექციაში შესრულებულია ჩაღრმავება, რომელიც წარმოადგენს მომხმარებლის ჩასაჯდომ ადგილს და გააჩნია დახრის კუთხის რეგულირებით დაყენებული საზურგე, აღნიშნულ სექციაში, აგრეთვე, შესრულებულია დასაკეცი ქოლგისა და გამაგრებელი სასმელის ჩასადგმელი ბუდეები, ხოლო სერფინგის დაფას გვერდებზე გააჩნია სხვა სერფინგის დაფასთან გადაბმის საშუალებები ტანდემში ცურვის განსახორციელებლად.







ფიგ.1




ფიგ.2




ფიგ.3




ფიგ.4



ფიგ.5



ფიგ.6



ფიგ.7

